

მოსწავლის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

## დავალება 1.

ცხრილში მოცემულია რამდენ საათს მუშაობდა ამირანი ივლისის თითოეული კვირის განმავლობაში. ცხრილის მიხედვით რომელი წინადადებაა სწორი?

ივლისის კვირები	საათების რაოდენობა
პირველი კვირა	40
მეორე კვირა	50
მესამე კვირა	20
მეოთხე კვირა	60

ა) პირველ და მესამე კვირას ერთად ამირანმა იმდენივე საათი იმუშავა, რაც მეოთხე კვირას

ბ) ივლისის თითოეული კვირის განმავლობაში ამირანი ერთნაირად მუშაობდა

გ) ამირანმა ივლისში სულ 160 საათი იმუშავა.

დ) ამირანმა მეორე კვირას ყველაზე მეტ ხანს იმუშავა.

## დავალება 2

რიცხვის ათიათასეულის თანრიგის ციფრია 5, ხოლო ერთეულის თანრიგის

ციფრია 6. რა რიცხვი შეიძლება იყოს ეს?

ა) 51426

ბ) 54267

გ) 5726

დ) 571426

## დავალება 3.

ორი რიცხვიდან, რომლებშიც არ ჩანს თითო ციფრი,  $759 \square 4$  და  $75 \square 14$

ა) პირველია მეტი

ბ) მეორეა მეტი





გ) ტოლება

დ) ამ რიცხვების შედარება შეუძლებელია

დავალემა 4.

ცნობილია, რომ  $\square = 1$   $\text{rod} = 10$   $\text{cube} = 1000$


რომელ ნახაზზეა წარმოდგენილი რიცხვ 1023-ის მოდელი



დავალემა 5.

მაღაზიაში იყიდება: ყურძენი, ვაშლი, მსხალი და კომში. სვეტოვან დიაგრამაზე მოცემულია ამ მაღაზიაში ერთი საათის განმავლობაში გაყიდული ხილის მასები კილოგრამებში. დიაგრამის მიხედვით უპასუხე კითხვას:

რამდენი კილოგრამით მეტი ყურძენი გაიყიდა, ვიდრე მსხალი?



ა) 2-ით

ბ) 4-ით

გ) 6-ით

დ) 10-ით

დავალება 6.

მოცემულია რიცხვი: 7835

რომელია ამ რიცხვის უახლოესი ათასეული?

- ა) 7000      ბ) 7800      გ) 8000      დ) 8800

დავალება 7.

სახელმძღვანელოების რაოდენობები:


საგნის დასახელება	სახელმძღვანელოს რაოდენობა
ქართული	95
მათემატიკა	113
ინგლისური	75
ბუნება	125
ხელოვნება	112

შემდეგთაგან რომელ კითხვას ვერ ვუპასუხებთ ცხრილის მიხედვით:

- ა) რომელი საგნის სახელმძღვანელოა ყველაზე მეტი?  
ბ) რომელი საგნის სახელმძღვანელოა ყველაზე ნაკლები?  
გ) რამდენი მოსწავლე იყენებს სახელმძღვანელოებს ბიბლიოთეკიდან?  
დ) რამდენით მეტია მათემატიკის სახელმძღვანელო ინგლისურზე?

დავალება 8.

მოცემულია ორი ტოლი კვადრატი. თითოეული მათგანი დაყოფილია ტოლ ნაწილებად. შეადარე ტოლი კვადრატების რუხი ნაწილები ერთმანეთს და მათ შორის ცარიელ უჯრაში ჩაწერე საჭირო ნიშანი: „<“, „>“ ან „=“.



დავალება 9. გამოთვალე და პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

$$53543 + 357 =$$